სსიპ კოლეჯი მოდუსი

24/03/2025

MES 3 25 0000326668

სსიპ კოლეჯი მოდუსის შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე, 56-ე და 61-ე მუხლების, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის 2019 წლის 6 მარტის #44/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯი „მოდუსი“-ს წესდების მე-5 მუხლის „თ“ პუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ

1. დამტკიცდეს სსიპ კოლეჯი „მოდუსი“-ს შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი დანართი #1-ის შესაბამისად;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს სსიპ კოლეჯი მოდუსის 2021 წლის 27 აპრილის N102 ბრძანება;
3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე;
4. დაევალოს კოლეჯის IT სპეციალისტს დავით მარანელს უზრუნველყოს ბრძანების გამოქვეყნება კოლეჯის ვებგვერდზე;
5. დაევალოს ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების მენეჯერს ანა კაპანაძეს დოკუმენტი შესასრულებლად გადაუგზავნოს IT სპეციალისტს;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან 1 თვის ვადაში რუსთავის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. #6).

დიანა გოშაძე

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
სსიპ კოლეჯი მოდუსი

დამტკიცებულია

დირექტორის
2025 წლის 24 მარტის N326668 ბრძანებით

სსიპ კოლეჯი მოდუსის შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა

• შესავალი

სსიპ კოლეჯი მოდუსის შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა შემუშავებულა სამუშაო სივრცეში უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფისათვის და ეფუძნება საქართველოს კონონმდებლობას.

შრომის უსაფრთხოების პოლიტიკა მოიცავს შემდეგ პროცედურებსა და ინფორმაციას:

- კოლეჯის შესახებ ინფორმაცია;
- კოლეჯის ადმინისტრაციის (მენეჯმენტის) ფუნქცია-მოვალეობები და სტრუქტურა;
- რისკების შეფასება და მართვა;
- დასაქმებულთა, ვიზიტორთა და მესამე პირთა სწავლება (ტრენინგები/ინსტრუქტაჟები);
- უბედური შემთხვევების მოკვლევა; სხვა ინციდენტების აღრიცხვა/მოკვლევა
- პროფესიული დაავადებების პრევენცია ; **პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა**
- საგანგებო სიტუაციების **მართვა** და ევაკუაცია;
- **სამუშო ადგილიას უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები: სახანძროუსაფრთხოება, ელექტროუსაფრთხოება**
- **ინსპექტირება და აუდიტი**
- **გეგმის დამტკიცება, ცვლილებები და მუდმივი გაუმჯობესება**



I. კოლეჯ მოდუსის შესახებ ინფორმაცია:

კოლეჯის დასახელება	სსიპ კოლეჯი მოდუსი
საიდენტიფიკაციო ნომერი	216350829
მისამართი	ქ. რუსთავი, შარტავას გამზ. N4
დირექტორი	ნინო ქავთარაძე
დირექტორის ტელ.	577 64 97 40

პასუხისმგებლობები :

პასუხისმგებლობა წარმოადგენს მოვალეობის სწორად შესრულების ვალდებულებას. თითოეულმა თანამშრომელმა უნდა გააცნობიეროს მისი წილი პასუხისმგებლობა შრომის უსაფრთხოების კუთხით. ორგანიზაციის თითოეული სტრუქტურული რგოლის პასუხისმგებლობები მდგომარეობს შემდეგში:

კოლეჯის დირექტორი

კოლეჯის შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის დამსაქმებელი (დირექტორი) :

- გეგმავს და აკონტროლებს უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ძირითად ღონისძიებებს.
- უზრუნველყოფს შრომის კოდექსითა და შრომის უსაფრთხოების შესახებ კანონით დამსაქმებლისთვის წაყენებული მოთხოვნების შესრულებასა და დაცვას.
- ამტკიცებს ინსტრუქციებსა და სხვა დოკუმენტებს.
- ახორციელებს რისკების საერთო მენეჯმენტს.
- უზრუნველყოფს შესაბამისი სამუშაოებისათვის საჭირო ინდივიდუალური დაცვისა და სხვა საშუალებებით თანამშრომელთა აღჭურვას.
- საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების და სხვა დამცავი საშუალებების შეცვლას.
- ბიუჯეტში ითვალისწინებს სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოებასთან და სანიტარიულ-ჰიგიენურ ღონისძიებებთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს.
- უზრუნველყოფს გაერთიანების შრომის უსაფრთხოების კანონის მოთხოვნების ყველა დონეზე შესრულებს და დაცვას.

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტები:

კოლეჯში უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნვეყოფისათვის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი:

- უზრუნველყოფს შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის გაწერას, დანერგვის უზრუნველყოფის ხელშეწყობას.
- უზრუნველყოფს ორგანიზაციაში **გეგმიურ** მონიტორინგს სამუშაო პროცესების შრომის უსაფრთხოების სტანდარტების შესაბამისად წარმართვის მიზნით.
- უზრუნველყოფს საფრთხეების იდენტიფიცირებას, შრომის უსაფრთხოების რისკების შეფასებას, კოლეჯის საქმიანობის უსაფრთხოდ განხორციელების მიზნით.

- უზრუნველყოფს საჭიროების მიხედვით შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვადასხვა თემატური ტრენინგებისა და ინსტრუქტაჟების ჩატარებას თანამშრომლებისთვის;
- ევალება აქტიური და უშუალო კომუნიკაცია მენეჯმენტთან შრომის უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით.
- უზრუნველყოფს ინციდენტების აღრიცხვას, ანგარიშს, გამომწვევი მიზეზების შესწავლა/მოკვლევა და გამოსასწორებელი ღონისძიებების დაგეგმვას.

კოლეჯის დირექტორის მოადგილეები, მენეჯერები, სპეციალისტები:

- უზრუნველყოფენ (კომპეტენციის ფარგლებში) ყველა საჭირო რესურს (ფინანსური, ადამიანური და ა.შ.) კოლეჯში შრომის უსაფრთხო გარემოს, შრომის უსაფრთხო პირობებისა და შრომის უსაფრთხოების სისტემის გამართული მუშაობის უზრუნველსაყოფად;
- უზრუნველყოფენ (კომპეტენციის ფარგლებში) უსაფრთხო და ღირსეული შრომის პირობებით;
- უზრუნველყოფენ (კომპეტენციის ფარგლებში) გაერთიანების საქმიანობის შესაბამისობას საკანონმდებლო მოთხოვნებთან.
- უზრუნველყოფენ (კომპეტენციის ფარგლებში) საჭირო რესურსებს სამუშაოების უსაფრთხოდ წარმოართვისათვის;
- უზრუნველყოფენ (კომპეტენციის ფარგლებში) უსაფრთხო სამუშაო გარემოს, დანადგარებით და აღჭურვილობით;
- უნდა იქონიონ მჭიდრო კომუნიკაცია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტებთან შრომის უსაფრთხოების საკითხებზე, რომლებიც დგას მათდამი დაქვემდებარებულ სტრუქტურული ერთეულების წინაშე;

კოლეჯში დასაქმებული პროფესიული განათლების მასწავლებლები:

- მოახდენენ სამუშაო სივრცის (ტერიტორიის) ვიზუალურ დათვალიერებას სასწავლო პროცესის(სამუშაოს) დაწყებამდე, განსაზღვრავს გარემო პირობების თანხვედრას სასწავლო პროცესის შეუფერხებლად ჩატარების მიზნით.
- საჭიროების შემთხვევაში მოახდენს მათდამი დაქვემდებარებულ პირთა(სტუდენტთა) მიერ პირადი დაცვის საშუალებების დათვალიერებას ვარგისიანობის დადგენის მიზნით და მონიტორინგს გაუწევს ამ საშუალებების სწორად გამოყენების პროცესს.
- პრაკტიკული მეცადინეობის დაწყებამდე სტუდენტებს გააცნობს შესასრულებელი სამუშაოს თავისებურებას და სპეციფიკას
- უზრუნველყოფს კოლეჯის დირექტორისა და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ დადგენილი რეკომენდაციების/ბრძანებების/წესდების/დებულების/ინსტრუქტაჟებისმასზე დაქვებდებარებულ პირთათვის გაცნობას და ახორციელებს კონტროლს (კომპეტენციის ფარგლებში) მის შესრულებაზე.
- დაუყოვნებლივ აცნობოს კოლეჯის მენეჯმენტსა და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს მომხდარი ინციდენტებისა და გარემოზე მავნე ზემოქმედების შემთხვევების შესახებ;
- უზრუნველყონ მათზე დაქვემდებარებულ პირთა ინფორმირება სიახლეების, რეკომენდაციებისა და ცვლილებების შესახებ;
- იქონიონ მჭიდრო კომუნიკაცია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან შრომის უსაფრთხოების საკითხებზე, რომლებიც დგას მათდამი დაქვემდებარებულ სტრუქტურული ერთეულების წინაშე;

თანამშრომლები:

- უზრუნველყოფენ დადგენილი შრომის უსაფრთხოების წესების და ნორმების დაცვას;
- ვალდებულნი არიან გაამოიყენონ სამუშაოების შესაფერისი ინდივიდუალური დამცავი აღჭურვილობა;
- უზრუნველყოფენ უშუალო ხელმძღვანელის ან სხვა პასუხისმგებელი პირის დაუყოვნებლივი ინფორმირებას ნებისმიერი გარემოების შესახებ, რომელსაც შეუძლია საფრთხე შეუქმნას მის ან სხვების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ან ზიანი მიაყენოს გარემოს;

III რისკების შეფასება და მართვა

კოლეჯი განახორციელებს არსებული რისკების საერთო შეფასებას, როგორც მინიმუმ წელიწადში ერთხელ. რისკების საერთო შეფასება ასევე მოხდება არსებული სამუშაო გარემოს, ტექნოლოგიის ცვლილების, უსაფრთხოების ახალი მოთხოვნების დანერგვის შემთხვევაშიც.

რისკების შეფასებისას მოხდება, როგორც კონტროლის მიმდინარე ღონისძიებების გაწერა, ასევე შემდგომში განსახორციელებელი/გასაუმჯობესებელი ღონისძიებების განსაზღვრა.

სამუშაოთა უმეტესობის შემთხვევაში ხდება ზოგადი რისკების თვისობრივი შეფასება. რისკების შეფასებას ხელმძღვანელობს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ან/და მოცემულ საქმიანობაზე პასუხისმგებელი სათანადო ხელმძღვანელი პირი. ასევე რისკების შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს საჭიროების შემთხვევაში მოწვეული სპეციალისტის დახმარებით.

რისკის შეფასების პროცესი განსაზვრავს:

- რა არის საფრთხე?
- ქმნის თუ არა საფრთხე რისკს?
- რამდენად მნიშვნელოვანია ეს რისკი?
- დასაშვებია თუ არა რისკი?
- თუ დაუშვებელია რისკის დონე, კონტროლის რა ზომების მიღება შეიძლება მის დასაშვებ დონემდე შესამცირებლად.

პრევენციული ღონისძიებების გატარება უნდა მოხდეს შემდეგი იერარქიით:

- აღმოფხვრა (საფრთხის ლიკვიდაცია);
- ჩანაცვლება (სახიფათო დანადგარების, მექანიზმების, მასალების და ა. შ. ჩანაცვლება უსაფრთხო დანადგარებით, მექანიზმებით, მასალებითა და ა.შ.);
- ტექნიკური/ინჟინრული კონტროლი (საფრთხის იზოლაცია, შეზღუდვა ბარიერებით, უსაფრთხოების მოწყობილობების გამოყენება)
- ადმინისტრაციული კონტროლი (წესები, ნორმები, ტრენინგები/ინსტრუქტაჟები, უსაფრთხოების ნიშნები და ა. შ.);
- კოლექტიური და ინდივიდუალური დამცავი აღჭურვილობა.

ყოველი კონკრეტული საშიშპირობებიანი სამუშაოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაწყების წინ პერსონალი (შესაბამისი ჯგუფი) განახორციელებს საფრთხეებისა და რისკების შეფასებას სპეციალური კითხვარის მეშვეობით.

მომეტებული საფრთხის აღმოჩენის ან რისკის მაღალი დონის შემთხვევაში სამუშაო პროცესი არ დაიწყება შესაბამის კონტროლის პროცედურების განხორციელებამდე - საფრთხის აღმოფხვრამდე ან რისკის მინიმალურ დონეზე დაყვანამდე.

IV. თანამშრომელთა და პერსონალის სწავლება

დამსაქმებელმა სწავლების (ტრენინგის) ჩატარება უნდა უზრუნველყოს:

ა) დასაქმებულების დაქირავებისას, მათ მიერ სამუშაოს შესრულების დაწყებამდე

ბ) დასაქმებულის სხვა სამუშაო ადგილზე გადაყვანისას/სამუშაოს შეცვლისას

გ) ახალი ტექნოლოგიური პროცესისა და სამუშაო მეთოდების დანერგვამდე, ახალი მანქანა-დანადგარების გამოყენების ან/და საწარმოო პროცესის ცვლილების დაწყებამდე

დ) განმეორებით, გეგმის შესაბამისად ან საჭიროების მიხედვით.

სამუშაოზე დაიშვება მხოლოდ მომზადებული, კომპეტენტური პერსონალი, რომელთა მომზადება განხორციელდება, როგორც საერთო უსაფრთხოების წესებში, ასევე კონკრეტული სამუშაო პროცედურების უსაფრთხოების საკითხებში.

ტრენინგების და ინსტრუქტაჟების ჩამონათვალი:

- დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები და უსაფრთხო შრომის პრინციპები - წელიწადში ერთხელ
- სახანძრო უსაფრთხოება - 6 თვეში ერთხელ
- პირველადი სამედიცინო დახმარება - წელიწადში ერთხელ
- ზოგადი ინფორმაცია შრომის უსაფრთხოებაზე - წელიწადში ერთხელ
- COVID-19 ინსტრუქტაჟი - არაგეგმიური

V. უბედური შემთხვევის მოკვლევა

კოლეჯში უბედური შემთხვევის მოკვლევის მიზანია ინციდენტის გამომწვევი მიზეზების დადგენა, უბედური შემთხვევების პრევენცია. მოკვლევის მიზანი არ არის დამნაშავე პირის გამოვლენა და დასჯა.

უბედური შემთხვევის მოკვლევის მიზნით, კოლეჯი ქმნის უბედური შემთხვევის მოკვლევის კომისიას ინციდენტიდან 24 საათში. კომისიის შემადგენლობაში შედიან: შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, კოლეჯის დირექტორი ან ორგანიზაციის მენეჯმენტის სხვა წარმომადგენელი, დასაქმებულთა წარმომადგენელი შრომის უსაფრთხოების საკითხებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ასევე კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა პირი.

შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი და მოკვლევის კომისია ინციდენტის შემთხვევაში განახორციელებს შემდეგ პროცედურებს:

- დაზარალებული პირისთვის პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა და შემდგომი საფრთხის თავიდან ასაცილებლად აუცილებელი ზომების მიღება;
- დაუყონებლივ, დირექტორის/მენეჯმენტის და შრომის სპეციალისტის ინფრმირება.

<u>შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი:</u>

- ინციდენტის გამომწვევი სავარაუდო მიზეზის განსაზღვრა და მიზეზის/წყაროს იზოლაციისთვის ან ლიკვიდაციისთვის უსაფრთხოების ზომების მიღება;
- მძიმე, ფატალური და მასობრივი უბედური შემთხვევებისას, კომპეტენტური საგამოძიებო ორგანოების წარმომადგენელთა მოსვლამდე, უბედური შემთხვევის ადგილის შემოფარგვლა და უცვლელად შეინარჩუნება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აუცილებელია ზომების მიღება პირის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად.
- საშუალო სიმძიმის უბედური შემთხვევის ადგილის დათვალიერება და ფოტოგადაღება;
- თვითმხილველთა იდენტიფიცირება.

<u>უბედური შემთხვევის მოკვლევის კომისია:</u>

- თვითმხილველთა გამოკითხვა;
- გაერთიანების თანამშრომელთა და ექსპერტების ინფორმაციის შესწავლა;
- ფოტომასალის, სქემების, გეგმების და სხვა მტკიცებულებების შესწავლა;
- საწარმოო გარემოს პირობების ანალიზი;
- უბედური შემთხვევის გამომწვევი ფაქტორების დადგენა;
- გასატარებელი ღონისძიებების განსაზღვრა;
- უბედური შემთხვევის მოკვლევის ოქმის გაფორმება.

სხვა ინციდენტების ინფორმირება, აღრიცხვა და მოკვლევა:

ნებისმიერი სახის ინციდენტი, მიუხედავად იმისა მოხდა თუ არა ადამიანების დაზიანება და რა სიმძიმისაა ეს დაზიანება, ასევე ნებისმიერი ფაქტი რომელმაც ზიანი მიაყენა გარემოს, მოითხოვს გამოძიებას/მოკვლევას, რათა დადგინდეს შემთხვევის გამომწვევი მიზეზები და მოხდეს შესაბამისი და ეფექტური ღონისძიებების დაგეგმვა მომავალში მსგავსი ინციდენტის გამეორების თავიდან ასაცილებლად.

იმისათვის, რომ ნებისმიერი ინციდენტი დროულად და ეფექტურად იქნეს გამოძიებული, საჭიროა აღნიშნული ინციდენტის შესახებ ინფორმაციის დროული მიწოდება. კოლეჯის თითოეული თანამშრომელი ვალდებულია დროულად და სრულად მიაწოდოს ინფორმაცია მომხდარი ინციდენტის შესახებ უშუალო ხელმძღვანელს, რომელიც თავის მხრივ პასუხისმგებელია კოლეჯის მენეჯმენტთან/შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან დაკავშირებაზე.

მომხდარი ინციდენტის შედეგებიდან გამომდინარე, ინციდენტის თვითმხილველი პირი იძახებს შესაბამის დახმარებას ნომერზე „112“.

ინციდენტის შედეგის ან შესაძლო შედეგის სიმძიმიდან გამომდინარე, ინციდენტის მოკვლევა უნდა განხორციელდეს კოლეჯის ხელმძღვანელობის მიერ შესაბამისი ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ.

აღნიშნული კომისია მოკვლევის შედეგად ადგენს ინციდენტის გამომწვევ მიზეზებს, შრომის უსაფრთხოების წესების დარღვევის ფაქტებს და ინციდენტში მონაწილე პირების ბრალეულობას. რის საფუძველზეც განისაზღვრება მომავალში მსგავსი ინციდენტების პრევენციისათვის საჭირო ღონისძიებები, პასუხისმგებელი პირები და ვადები, რაზედაც დგება შესაბამისი ოქმი. გასატარებელი ღონისძიებების შესრულებას აკონტროლებს კომისია ან კომისიის ოქმით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი.

ინციდენტების რეგისტრაცია უნდა განხოცილედეს უბედური შემთხვევების რეგისტრაციის ჟურნალში.

VI. პროფესიული დაავადებების პრევენცია

კოლეჯის მენეჯმენტი პროფესიული დაავადებების პრევენციის მიზნით:

- უზრუნველყოფს დაცვისა და კონტროლის სისტემების უწყვეტ და გამართულ ფუნქციონირებას;
- უზრუნველყოფს საწარმოს აღჭურვას შესაბამისი კოლექტიური დაცვის საშუალებებით;
- უზრუნველყოფს პერსონალის შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით აღჭურვას;
- უზრუნველყოფს ინდივიდუალური დაცვის საშუალებების სისუფთავესა და ტექნიკური გამართულობას;
- მუდმივად იზრუნებს საფრთხის შემცველი ფაქტორების შემცირებასა და აღმოფხვრაზე და ამისათვის გაატერებს შესაბამის ღონისძიებებს;

პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა

საჭიროების შემთხვევაში დროული პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველსაყოფად, უნდა მოხდეს კოლეჯის ტერიტორიაზე მყოფი თითოეული პირის ინფორმირება სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახებისათვის საჭირო ღონისძიებებისა და წესების შესახებ.

კოლეჯის თავისებურებებიდან გამომდინარე, საჭიროებისმებრ განთავსებული უნდა იქნას სათანადო რაოდენობის პირველადი დახმარების ყუთები.

VII. საგანგებო სიტუაციების მართვა და ევაკუაცია

დასაქმებულთ და მოსწავლეთა, ასევე (სხვა პირების) სიცოცხლის გადარჩენა არის პრიორიტეტი. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და ეფექტური მეთოდი სიცოცხლის დაცვისთის, ჯანმრთელობისა და სხვა სახის ზიანის თავიდან აცილებისთვის,არის ევაკუაცია.

<u>საგანგებო სიტიაციების მზადყოფნისთვის კოლეჯი:</u>

- განსაზღვრავს პირობებს, როდესაც ევაკუაცია ხდება აუცილებელი;
- განსაზღვრავს მითითებებისა და ბრძანების თანმიმდევრობას;
- განახორიციელებს პერსონალის სათანადო სწავლებას;
- პერსონალს განუსაზღვრავს ევაკუაციის გზებსა და თავშეყრის ადგილს;

- სათანადოდ თვალსაჩინო ადგილებზე განათავსებს გამაფრთხილებელ ნიშნებს, საავარიო განათებებს (დამუკიდებელი ელ.ენერგიით უზრუნველყოფილი) და საევაკუაციო გეგმებს;
- ინტენსიურად შეამოწმებს საევაკუაციო გასასვლელებსა და შესაბამის ნიშნებს;
- **დანიშნავს კომპეტენტურ პირს, ვინც განახორციელებს საგანგებო სიტუაციების მართვას.**

<u>ავარიული და საგანგებო სიტუაციებისას:</u>

- მოხდება სასწავლო და სამუშაო პროცესის გაჩერება
- დაუყოვნებლივ მოხდება სასწავლო და სამუშაო სივრცის დატოვება საევაკუაციო გეგმის მიხედით
- მოხდება შესაბამის სამსახურების დაუყოვნებლივი ინფორმირება (112)
- დაზიანებულ პირებს გაეწევათ პირველადი გადაუდებელი დახმარება
- ტერიტორიაზე აღმოჩენილი გარეშე პირებისთვის, ასევ მათთვის ვინც შესაძლოა არ იცოდნენ საევაკუაციო პროცედურები, მოხდება დახმარების აღმოჩენა - ტერიტორიიდან გაყვანა.
- ევაკუირებული პირების შეკრება მოხდება საევაკუაციო გეგმით განსაზღვრულ თავშეყრის ადგილზე
- სახანძრო-სამაშველო სამსახურებს მოსვლისთანავე გადაეცემა კოლეჯის ტერიტორიის გეგმა-ნახაზები და მიეწოდება ყველა საჭირო ინფორმაცია.

საგანგებო სიტუაცია წარმოადგენს გარემოებას, რომელიც აშკარა და მასიურ საფრთხეს უქმნის ადამიანების სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს ხანძრის, წყალდიდობის, მიწისძვრის, აფეთქების და ნგრევის შედეგად.

საგანგებო სიტუაციებში დიდი მნიშვნლობა ენიჭება თანმიმდევრულ და დროულ მოქმედებას, რათა თავიდან იქნეს აცილებული შემდგომი გართულებები და ინციდენტები, როგორიცაა, ჭყლეტვა, ადამიანების არასწორი გადაადგილება სახიფათო ადგილებისაკენ და . ა.შ.

ნებისმიერი პირი, რომლისთვისაც ცნობილი გახდება საგანგებო სიტუაციის შესახებ, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს აღნიშნულის შესახებ კოლეჯის მენეჯმენტს/ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს ან/და უშუალო ხელმძღვანელს. მიწოდებული ინფორმაცია უნდა იყოს მაქსიმალურად სრული და ზუსტი.

კომპეტენტური პირი (შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი) უზრუნველყოფს ადამიანთა ევაკუაციას, ევაკუირებულთა აღრიცხვას და მათ უსაფრთხო ადგილზე გადაყვანას.

საჭიროების შემთხვევაში პიროვნება, რომლისთვისაც ცნობილი გახდა საგანგებო სიტუაციის არსებობის შესახებ, რეკავს საგანგებო სიტუაციების სამსახურში ნომერზე „112“ და იძახებს შესაბამის დახმარებას (საპატრულო პოლიცია, სამაშველო, სახანძრო, სასწრაფო დახმარება).

ევაკუაციის პროცესის სწორად და უსაფრთხოდ წარმართვისათვის საჭიროა შემდეგი წესების დაცვა:

- საევაკუაციო გზები და სათადარიგო გასასვლელები მუდმივად თავისუფალი უნდა იყოს ნებისმიერი დაბრკოლებებისაგან (სხვადასხვა ნივთები, ნარჩენები და. ა.შ.);
- შენობა ნაგებობების თითოეულ სართულზე განთავსებული უნდა იყოს საევაკუაციო გეგმები, პასუხისმგებელი პირებისა და სამაშველო სამსახურების საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით.
- ევაკუაციის საჭიროების შემთხვევაში უნდა მოხდეს კონკრეტულ ტერიტორიაზე მყოფი ადამიანების ინფორმირება დამონტაჟებული განგაშის სიტემის გააქტიურებით ან ხმამაღალი ყვირილით;
- ევაკუაციის დროს დაუშვებელია ლიფტების გამოყენება;
- თითოეული ევაკუირებული ადამიანის გადაყვანა უნდა მოხდეს წინასწარ დათქმულ შეკრების ადგილზე;

- პირველ რიგში უნდა მოხდეს დაზარალებულებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ევაკუირება და მათთვის შესაბამისი გადაუდებელი დახმარების გაწევა.
- საჭიროების შემთხვევაში შეძლებისდაგვარად უნდა მოხდეს სამაშველო სამსახურებისათვის დახმარების გაწევა მათი მითითებების შესაბამისას.

ევაკუაციის პროცესის დასრულების შემდეგ უნდა გადამოწმდეს იმყოფება თუ არა ყველა თანამშრომელი /მოსწავლე და სხვა პირები შეკრების ადგილზე.

ხანძრის დროს პერსონალის/მოსწავლეთა და სხვა პირების ევაკაუცია უნდა განხორციელდეს ხანძრის პირობებში ევაკუაციის უზრუნველყოფისათვის პერსონალის მოქმედების ინსტრუქციის შესაბამისად.

VIII. სასწავლო და სამუშო ადგილას უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები: სახანძროუსაფრთხოება, ელექტროუსაფრთხოება სახანძროუსაფრთხოება

ხანძარი არის უკონტროლო ცეცხლი, რომელიც საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხელესა და ჯანმრთელობას და მატერიალურ ქონებას.

კოლეჯის ყველა შენობა-ნაგებობა უნდა აღიჭურვოს შესაბამისი კლასისა და რაოდენობის ხანძართან ბრძოლის პირველადი საშუალებებით - ხელის და გადასატანი ცეცხლმაქრებით. გარდა ცეცხლმაქრების კლასისა გათავალიწინებული უნდა იქნეს ცეცხლმაქრების შემადგენლობა:

- წყალი - A კლასი ხანძრებისათვის;
- ქაფი - A და B კლასის ხანძრებისათვის;
- მშრალი ფხვნილი - A, B, C და E კლასის ხანძრებისათვის;
- კარბონ დიოქსიდი (CO2) - E კლასის ხანძრებისათვის.

განმარტება: A კლასი – ძირითადად ორგანული წარმოშობის მყარ ნივთიერებათა ხანძრები, რომელთა წვას თან ახლავს ბჟუტვა (მერქანი, ქსოვილი, ქაღალდი); B კლასი – წვადი სითხეების ან დნობადი მყარი ნივთიერებების ხანძრები; C კლასი – აირების ხანძრები; D კლასი – ლითონებისა და მათი შენადნობების ხანძრები; (E) კლასი – ელექტროდანადგარების წვასთან დაკავშირებული ხანძრები;

სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭიროა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

- მუდმივად უნდა იყოს დაცულის სისუფთავე და მოწერიგებულობა. დაუშვებელია ნარჩენებისა და მასალების უკონტროლო დაგროვება, საევაკუაციო გზებსა და გასასვლელებში;
- ელექტრო მეურნეობა და მოწყობილობები უნდა იყოს გამართულ მდომარეობაში და მუდმივად მოწმდებოდეს კვალიფიციური პერსონალის მიერ;
- ელექტრო მოწყობილობები და დანადგარები სამუშაოს დამთავრების შემდეგ უნდა გაითიშოს დენის წყაროდან, თუ მათი მუდმივი მუშაობა აუცილებლობით არაა განპირობებული;
- მოსაწევად უნდა გამოიყოს სპეციალური უსაფრთხო ადგილები;
- პერიოდულად უნდა მოხდეს ცეცხლმაქრებისა და სახანძრო ინვენტარის ინსპექტირება, გაუმართაობის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს ინვენტარის ჩანაცვლება;
- თვალსაჩინო ადგილებზე უნდა განთავსდეს საევაკუაციო გეგმები, ნიშნები და სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების საკონტაქტო ინფორმაცია;
- გაერთიანების თითოეულ თანამშრომელს გავლილი უნდა ჰქონდეს ხანძარსაწინააღმდეგო ინსტრუქტაჟი;

- ხანძრის ან დაკვამლიანების დაფიქსირების შემთხვევაში უნდა მოხდეს სახანძრო განგაშის გააქტიურება და ინფორმაციის დაუყოვნებლივი მიწოდება სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირისათვის ან უშუალო ხელმძღვანელისათვის;
- თუ ხანძარის წყაროს წრმოადგენს ელექტროობა, შესაძლებლობის შემთხვევაში უნდა მოხდეს დენის წყაროს გათიშვა ცენტრალური ამომრთველიდან;
- ხანძრის აღმომჩენ პირს შეუძლია გამოიყენოს ცეცხლმაქრი თუ დარწმუნებულია, რომ ფლობს შესაბამის ცოდნას და მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას არ მიადგება ზიანი;
- ევაკუაცია უნდა განხორციელდეს საევაკუაციო გეგმისა და ნიშნების შესაბამისად უსაფრთხო ადგილზე;
- საჭიროების შემთხვევაში გამოძახებულ უნდა იქნეს სახანძრო სამაშველო სამსახური ნომერზე „112“

ელექტროუსაფრთხოება

ელექტროენერგიასთან არასათანადო მოპყრობამ შეიძლება გამოიწვიოს, როგორც სხეულის დაზიანება, ისე ფატალური შედეგი, ხანძარი, აფეთქება და ა. შ. სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებულია ელექტროდანადგარების მომსახურებასთან ან სრულდება ელექტროდანადგარების მახლობლად, საჭიროა შესრულდეს კომპეტენტური პირის მიერ, რომელსაც გააჩნია ელექტროუსაფრთხობის შესაბამის ჯგუფი, რაც დასტურდება შესაბამისი მოწმობით.

სამუშაოების წარმოებისას ელექტროუსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია უსაფრთხოების შემდეგი წესების დაცვა:

- ელექტრო სამუშაოებისა და ელექტრო დანადგარების მახლობლად მუშაობისას, აუცილებელია ელექტროუსაფრთხოების ნიშნების მოთხოვნების დაცვა;
- სამუშაოების დაწყებამდე სასურველია ელექტროდანადგარები და მოწყობილობები არ იმყოფებოდნენ ძაბვის ქვეშ და იყოს სათანადო წესით დამიწებული.
- სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოხდეს ფარული ელექტრო ხაზების იდენტიფიცირება, რათა არ მოხდეს მათთან შემთხვევითი კონტაქტი.
- დაზიანებული ან არასათანადოდ იზოლირებული ელექტრო სადენებისა და ინსტრუმენტის აღმოჩენის შემთხვევაში აუცილებელია კომპეტენტური პირის ინფორმირება. პარალელურად ელექტრო ენერგიის წყაროს გათიშვა ან დაზიანებული ადგილის მონიშვნა, რათა არ მოხდეს სხვა პირის მიერ უნებლიე კონტაქტი;
- სამუშაო უბნებზე ამომრთველ კარადებთან მისასვლელი ყოველთვის უნდა იყოს თავისუფალი, რათა საგანგებო სიტუაციაში დაუბრკოლებლად მოხდეს ელექტროენერგიის გათიშვა;
- ნებისმიერი ელექტრული წრედი ითვლება მოქმედად იქამდე, სანამ ადგილზე არ იქნება თვალხილული დამადასტურებელი ნიშანი/ინფორმაცია იმისა, რომ იგი ნამდვილად გათიშულია;
- საჭიროების შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს შესაბამისი ინდივიდუალური დამცავი აღჭურვილობა (ჩაფხუტი, სათვალე, ხელთათმანები და ა. შ);
- ელექტრო ხელსაწყოების გამოყენების დასრულებისთანავე უნდა მოხდეს მათი დენის წყაროდან სრული გათიშვა;
- ელექტრო სადენები არ უნდა იყოს ჩამოკიდებული ლურსმანზე, ან ისეთ ადგილზე განლაგებული, სადაც არსებობს მათი დაზიანების ან დასველების შესაძლებლობა;
- ყველა ელექტრო დანადგარს უნდა გააჩნდეს სათანადო დამიწება;
- ქვესადგურებთან, ტრანსფორმატორებთან და მსგავსი ტიპის მოწყობილობებთან შეხება დასაშვებია მხოლოდ სათანადო ელექტრო ჯგუფის მქონე ელექტრიკოსებისათვის და ენერგეტიკის სპეციალისტებისათვის, წინასწარ მომზადებული სამუშაო ნებართვის საფუძველზე;
- ელექტროდანადგარების მომსახურება უნდა ხორციელდებოდეს მწარმოებლების ინსტრუქციების შესაბამისად;

ელექტროდანადგარების ექსპლუატაცია და ელექტროდანადგარების დაცვის ზონაში მუშაობა, უნდა განხორციელდეს ენერგეტიკის მინისტრის 2008 წლის 18 ნოემბერი N100 ბრძანებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის „უსაფრთხოების ტექნიკის წესები ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას“ მოთხოვნების შესაბამისად.

IX . მონიტორინგი და კონტროლი

- შრომის უსაფრთხოების სისტემის გამართული მუშაობისათვის მნიშვნელოვანია სასწავლო და სამუშაო ადგილებისა და შენობა ნაგებობების პერიოდული შემოწმებები, რათა დროულად მოხდეს არსებული ხარვეზების აღმოჩენა და აღმოფხვრა.
- პერიოდული შემოწმებების საშუალებით მოწმდება შრომის უსაფრთხოების პირობებისა და პროცესების შესაბამისობა საკანონმდებლო მოთხოვნებთან, წინამდებარე პოლიტიკასთან და შიდა წესებთან.
- შემოწმებებს ატარებს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელიც ანგარიშს შემოწმებების შედეგების შესახებ და შესაბამის რეკომენდაციებს წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.
- შრომის უსაფრთხოების აუდიტი ტარდება წელიწადში ერთხელ კოლეჯის ხელმძღვანელობის მიერ დანიშნული შიდა აუდიტის ან გარე აუდიტის მიერ. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია დამატებითი აუდიტების ჩატარება.

X. გეგმის დამტკიცება, ცვლილებები და მუდმივი გაუმჯობესება

- ორგანიზაციის შრომის უსაფრთხოების გეგმას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი
- საკანონმდებლო რეგულაციების, ექსპერტების რეკომენდაციების, უსაფრთხოების კუთხით არსებული პრაქტიკის გაანალიზების საფუძველზე, კოლეჯი პერიოდულად განახორციელებს წინამდებარე შრომის უსაფრთხოების გეგმის მოდიფიკაციას.
- სამუშაოების შესრულებისას, დადგენილი წესებიდან ნებისმიერი გადახვევა უნდა შეთანხმდეს კოლეჯის დირექტორთან ან/და შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან, ამასთან უნდა მოხდეს გადახვევის აუცილებლობის დასაბუთება რისკების შეფასების გათვალისწინებით.
- ეს დოკუმენტი ეცნობა (ხელმოწერით) კოლეჯის ყველა თანამშრომელს. (დანართი N1 -ის შესაბამისად)

დანართი N1

N	თანამშრომლის სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1			
2			
3			
4			
5			